



ქართული უნივერსიტეტის IX პირადგუნდური ოლიმპიადა

მათემატიკა - IV კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი _____

სკოლა, კლასი _____

თანაგუნდელის გვარი, სახელი _____


მასწავლებლის გვარი, სახელი _____

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

- 1) ფურცლებზე დაწერილი ციფრებით შედგენილ გამოსახულებაში გადაანაცვლეთ ციფრები ისე, რომ სწორი ტოლობა მიიღოთ

7	3	-	2	5	=	5	8
---	---	---	---	---	---	---	---

- 2) სანდროს წიგნის საყიდლად 1 ლარი აკლდება, ქეთის კი 10 ლარი აკლდება. ორივეს ერთად კი - 50 თეთრი აკლდება. რა ღირს წიგნი და რა თანხა აქვს თითოეულს?
- 3) ყუთში არის 5 წყვილი შავი, 3 წყვილი თეთრი და 2 წყვილი ფეხსაცმელი. ისინი არაა წყვილებად (ანუ, მარჯვენა - თავის მარცხენასთან) შეკრული. სულ მცირე რამდენი ცალი ფეხსაცმელი უნდა ამოვიღოთ ყუთიდან (მასში ჩაუხედავად), რომ ამოღებულ ფეხსაცმელებს შორის თეთრი ფეხსაცმელების ერთი წყვილი მაინც აუცილებლად შედგეს?
- 4) დაწერეთ ყველა ხუთნიშნა რიცხვი, რომლის ციფრთა ჯამი 3-ის ტოლია.
- 5) საბა თავისი სახელის ჩანაწერში ასოებს ციფრებით ისე ცვლიდა, რომ რაც შეიძლება დიდი ოთხნიშნა რიცხვი მიეღო. ის თითო ასოს თითო ციფრით ცვლიდა, თან განსხვავებულ ასოებს განსხვავებული ციფრებით ცვლიდა, ერთნაირ ასოებს - ერთნაირი ციფრებით. ასევე მოიქცნენ ლელა, მარი, გიგი და ქეთი. ამ ხუთი ბავშვიდან ვის შეეძლო ყველაზე დიდი რიცხვის მიღება? დაწერეთ ეს რიცხვიც.
- 6) მათე იანვრიდან, 6 თვის მანძილზე ყოველი თვის ბოლოს ითვლიდა იმ მომენტისთვის მის ხელთ არსებულ (ანუ, იანვრიდან დაგროვილ) თანხას და მიღებული რიცხვებით ადგენდა სათანადო დიაგრამას. 6 თვეში მას შეუგროვდა 105 ლარი. მოცემული დიაგრამის მიხედვით დაწერეთ ყოველ თვეში (თებერვლიდან დაწყებული) რა თანხა ემატებოდა ან აკლდებოდა მის დანაზოგს.



გისურვებთ წარმატებას !